ტენდერი კვლევითი ორგანიზაციებისთვის

თვისებრივი კვლევა: აფხაზეთიდან დევნილი ქალების გამოცდილებები ომამდე, ომის მიმდინარეობისას და მის შემდეგ

დამკვეთი: ფემეა

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია **2**
- პროექტის შესახებ 2
- კვლევის მიზანი 3
- კვლევის სამიზნე აუდიტორია 3
- სხვა შეთანხმებები: 4
- ხარისხის სტანდარტი: 4
- საბოლოო პროდუქტის ჩაბარება: 4

შედეგები და დელივერებლები: **5**
- გეგმა: 5

ტენდერის ვალდებულებები **6**
- 1. შემოთავაზებული გუნდის კვალიფიკაცია 6
- 2. შემოთავაზებული კონცეფციის დაკვეთასთან შესაბამისობა 7
- 3. ხარჯების სპეციფიკაცია 7

ზოგადი ინფორმაცია

პროექტის შესახებ

საქართველოს უახლესი ისტორია ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. ეტიც, მკვლევართა და ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ისტორიის შესწავლისა და ანალიზისას მხოლოდ დომინანტურ თეორიებს ეყრდნობა, რაც ისტორიის მრავალმხრივ შესწავლას შეუძლებელს ხდის.

მსგავსი მიდგომაა გაბატონებული 1990-იან წლებში, საქართველოში მიმდინარე სეცესიური კონფლიქტების ანალიზშიც. თანამედროვე საქართველოში, პოპულარულია პოლიტიკური თუ სამხედრო ელიტის წევრი კაცების მიერ უახლესი ისტორიის გახსენება თუ ანალიზი. ოლო, ქალების, კონფლიქტებისადმი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, ხმა თანამედროვე ქართულ ისტორიულ დისკურსსა თუ კონფლიქტების ისტორიის შესწავლისას იშვიათად ან საერთოდ არ ისმის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცალკეული ნაშრომები იძულებით გადაადგილებული პირების საჭიროებებს იკვლევენ, თითქმის შეუსწავლელია დევნილთა კონფლიქტამდელი მეხსიერება და კვლევები ნაკლებადაა ფოკუსირებული ამ მეხსიერების ფემინისტურ ანალიზზე.

პროექტის „საქართველოს უახლოესი ისტორიის ფემინისტური განზომილება: აფხაზეთის ომის შედეგად დევნილი ქალების თვალით დანახული ისტორია", რომელიც ფონდის „ქალთა ფონდი საქართველოში" ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მიზანია შეისწავლოს და შემოინახოს ქალების თვალით დანახული ისტორია, გააანალიზოს ქალების მიერ აღქმული ისტორიული ტენდენციები და საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევა მისი ფემინისტური განზომილებით გაამდიდროს. პროექტის დასრულების შემდეგ, დოკუმენტირებული იქნება აფხაზეთიდან დევნილი ქალების თვალით დანახული ისტორია - თაობის, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა და მოუხდა კონფლიქტის უმძიმესი შედეგების გადატანა.

გეოგრაფიული არეალი

კვლევის ფარგლებში სამიზნე ჯგუფის გეოგრაფიული არეალი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- აფხაზეთიდან დევნილი ქალები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;
- აფხაზეთიდან დევნილი ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ემიგრაციაში.

კვლევის მიზანი

- აფხაზეთიდან დევნილი ქალების მეხსიერებაში აღბეჭდილი კონფლიქტამდელი აფხაზეთის, იქ არსებული საზოგადოებრივი მოწყობის, ყოველდღიური ურთიერთობებისა და სხვადასხვა ეთნოსების თანაცხოვრების დოკუმენტაცია და ანალიზი;

- ქალების თვალით დანახული ომის გამოცდილების აღწერა, მისი დოკუმენტირება და ანალიზი ფემინისტური პერსპექტივიდან;

- ქალების მიერ გაზიარებული ისტორიული ტენდენციების ანალიზი;

- იმ პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთა, რომლებსაც აფხაზეთიდან დევნილი ქალები დღემდე აწყდებიან.

კვლევის სამიზნე აუდიტორია

- აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე ქალები, რომლებმაც მინიმუმ 18 წელი იცხოვრეს აფხაზეთში;
- ასაკობრივი კატეგორია: 49-70+;
- ლოკაცია: საქართველო;
- ემიგრანტები;
- ინტერსექციური ჯგუფები (აფხაზეთიდან დევნილი ქალები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოწყვლად ჯგუფებსაც: შშმ, სოფლად მცხოვრები, მრავალშვილიანი, ვეტერანი, სხვ.).

a. „ფემეა" დაიქირავებს კონტრაქტორს, საკონტრაქტო ვადებით, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგნაირად: 5 აგვისტო, 2024 - 15 ოქტომბერი, 2024.
b. კონტრაქტორმა უნდა გასწიოს შემდეგი სამუშაო:
    i. მას შემდეგ, რაც „ფემეას" გუნდი მოამზადებს კვლევის დეტალურ ბრიფს, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს პროფესიონალური რჩევები, კომენტარები, შეთავაზებები და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები ბრიფში. დოკუმენტში შესაძლო ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება 2024 წლის 15 აგვისტომდე;
    ii. შეთანხმებულ ბრიფზე დაყრდნობით კონტრაქტორმა უნდა შეიმუშავოს კვლევის დეტალური გეგმა დამკვეთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით;
    iii. შეთანხმებულ ბრიფსა და გეგმაზე დაყრდნობით კონტრაქტორმა უნდა შეიმუშავოს თვისებრივი კვლევის დიზაინი: მეთოდოლოგია, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფი, ეთნოგრაფიული კვლევა და/ან მონაცემთა შეგროვების სხვა რელევანტური მეთოდები;

iv. კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს ჩაღრმავებული ინტერვიუები კვლევის მონაწილეებთან, რათა მოაგროვოს მიგნებები და მოსაზრებები, ბრიფში აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით;
v. კონტრაქტორმა უნდა გააანალიზოს თვისებრივი მონაცემები, შესაბამისი ტექნიკებისა და ხელსაწყოების გამოყენებით, რათა დააიდენტიფიციროს პატერნები, საკითხები და მიგნებები;
vi. კონტრაქტორმა უნდა აქციოს კვლევის შედეგები მოქმედებაში მოყვანად მიგნებებად;
vii. კონტრაქტორმა უნდა წარმოუდგინოს კვლევის მიგნებები დამკვეთი ორგანიზაციის გუნდს წერილობითი ანგარიშით, პრეზენტაციითა თუ ნებისმიერი იმ ფორმით, რომელზეც მოხდება შეთანხმება.

სხვა შეთანხმებები:

- კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დამკვეთი ორგანიზაციის ინფორმირება, დამატებითი მოთხოვნის გარეშე კვლევის კურსსა და პროგრესთან დაკავშირებით. ამისათვის, ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ანგარიში თვეში ორჯერ (ანგარიშის ფორმატი შეთანხმებული იქნება გაცნობითი შეხვედრისას) კვლევის პროცესსა თუ ხარჯების შესახებ;
- ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, ჰქონდეს გავლენა კვლევის პროცესზე ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, მიმართულებასა და ფორმაზე.
იმ შემთხვევაში, თუ ამ ტიპის ცვლილება გამოიწვევს დამატებით ხარჯებს, მათი გაწევის ვალდებულება ეკისრება დამკვეთ ორგანიზაციას.

ხარისხის სტანდარტი:

- კონტრაქტორი არის კვლევის მაღალი ხარისხის და მისი ბრიფთან შესაბამისობის გარანტორი.

საბოლოო პროდუქტის ჩაბარება:

- საბოლოო პროდუქტის ჩაბარება მოხდება ისეთი პროდუქტის პრეზენტაციის საფუძველზე, რომელიც მზადაა გავრცელებისთვის;
- ჩაბარება საბოლოოა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამკვეთი ორგანიზაცია წერილობით გააფორმებს ამას;
- მოთხოვნის საფუძველზე, კოტრაქტორმა უნდა დაადასტუროს, რომ არ არსებობს არავითარი უსაფრთხოების ან სხვა სახის ინტერესი ან უფლებები კვლევის მასალაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტის ოფიციალური ჩაბარების დოკუმენტი არ გაფორმდება.

შედეგები და დელივერებლები:

კონტრაქტორი იღებს შემდეგი სერვისების გაწევის ვალდებულებას:

- წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რეგულარული შეხვედრები დამკვეთ ორგანიზაციასთან;
- კონცეფციის (2 გვერდი), სამუშაო გეგმისა და საწყისი ანგარიშის დოკუმენტების შემუშავება;
- სპეციფიკურად ამ პროექტზე მორგებული თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევის სრული ბიბლიოთეკის გამოგზავნა, მათ შორის: მონაცემთა დოკუმენტები, მონაცემთა ნაკრები (data sets), ინტერვიუები, ხმოვანი ჩანაწერები და სხვ.;
- შუალედური კვლევის შედეგების პრეზენტაცია დამკვეთ ორგანიზაციასთან;
- საბოლოო კვლევის შედეგების პრეზენტაცია დამკვეთ ორგანიზაციასთან;
- კვლევის დოკუმენტის მომზადება;
- კვლევის დოკუმენტის თარგმნა ინგლისურ ენაზე.

ეტაპები:

შემოთავაზებული ეტაპები ექვემდებარება ცვლილებას, დამკვეთ ორგანიზაციასა და კონტრაქტორს შორის შეთანხმების საფუძველზე:

ეტაპი	**თარიღი**
გაცნობითი შეხვედრა	06.08.2024
სამუშაო გეგმისა და კონცეფციის წარდგენა	16.08.2024
პროგრესის შეფასების ოთხი შეხვედრა კვლევის მიმდინარეობის განმავლობაში	თარიღები შეთანხმდება კონტრაქტორთან
კვლევის შუალედური შედეგების წარდგენა	20.09.2024
კვლევის დოკუმენტის საბოლოო ვერსია + შენიშვნები	30.09.2024
კვლევის საბოლოო დოკუმენტის ჩაბარება ქართულ და ინგლისურ ენებზე	15.10.2024

კვლევის დოკუმენტი დასრულებული და დამკვეთისთვის ჩაბარებული უნდა იყოს არაუგვიანეს **15.10.2024-ისა.**

ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებები

1. შემოთავაზებული გუნდის კვალიფიკაცია

1.1 კონტრაქტორი შესაძლოა იყოს ექსპერტი ან ექსპერტთა გუნდი;
1.2 თუ კონტრაქტორი წარმოადგენს გუნდს, გუნდის წევრ თითოეულ ექსპერტს შეუძლია იმუშაოს სხვებთა თანადროულად და ასე გაინაწილონ ტენდერით კვლევისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობა. ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დეტალური აღწერა შემოთავაზებული ექსპერტების კვალიფიკაციის შესახებ.

1.3 **ზოგადი კვალიფიკაციები**

1.3.1 **განათლება:**

- ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება კვლევის, სტატისტიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, მონაცემთა მეცნიერების, მონაცემთა ანალიზის, ან სხვა რელევანტური პროფესიის მიმართულებით.

1.3.2 **გამოცდილება:**

- გადამოწმებადი გამოცდილება თვისებრივი კვლევის დიზაინისა და ჩატარების მიმართულებით, მათ შორის, თვისებრივი მონაცემების ანალიზის გამოცდილება;
- ძლიერი ანალიტიკური უნარები და კომპლექსური თვისებრივი მონაცემების გაანალიზებისა და ღირებული მიგნებების გამოტანის უნარი;
- არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით კვლევის ჩატარების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- გენდერულად სენსიტიური მიდგომა და ფემინისტური პერსპექტივა სხვადასხვა საკვლევი საკითხების მიმართ.

1.3.3 **ენობრივი უნარები:**

- ექსპერტები უნდა ფლობდნენ ინგლისურ და ქართულ ენებს.

2. შემოთავაზებული კონცეფციის დაკვეთასთან შესაბამისობა

კონტრაქტორმა უნდა გამოგზავნოს კონცეფცია (2 გვერდი), რომელიც შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- კონცეფცია აჩვენებს საკითხისა და მასთან დაკავშირებული გენდერულად სენსიტიური ტერმინოლოგიის ცოდნას;

- კონცეფცია ცხადად აჩვენებს აფხაზეთის ომამდე, ომის მიმდინარეობისას და მის შემდეგ პერიოდის ფემინისტური პერსპექტივიდან კვლევის ამოცანებს;

- კონცეფციიდან ჩანს, რომ შემოთავაზებული გეგმით შესაძლებელია ძირითადი მიგნებებისა და კომპლექსური მონაცემების მიღება.

3. ხარჯების სპეციფიკაცია

„ფემეა" გთავაზობთ ხარჯების სპეციფიკაციას შემდეგნაირად:

1. კვლევამდელი ფაზა;

2. კვლევა;

3. მონაცემთა ანალიზი;

4. კვლევის დოკუმენტის მომზადების ფაზა.

საფასო ჭერი

საფასო ჭერად ტენდერში აღწერილი ყველა ხარჯისთვის განსაზღვრულია 7,150 (შვიდი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.

ანაზღაურება:

ანაზღაურება გაიყოფა ორ ტრანშად: კვლევის დაწყებამდე (07.08.2024) და დასრულების შემდეგ (15.10.2024).

კვლევის ფინანსური მხარდამჭერია „ქალთა ფონდი საქართველოში".